საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №142

2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 280120000.22.026.016549) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში შეტანილ იქნეს ცვლილება და 58^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 და მე-9 პუნქტები:

„8. რიგითების, კაპრალების, სერჟანტების შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანამატი, ფაქტობრივად ნამსახურები ვადის პროპორციულად, ასევე გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ რვაწლიანი კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე პირს შეუწყდა ოთხწლიანი ან რვაწლიანი კონტრაქტი, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთჯერადი დახმარების/დანამატის გაცემის ვალდებულებას და რომლის შეწყვეტის გამო მიღებული აქვს შესაბამისი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება/დანამატი.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დანამატი გაიცემა პირებზე, რომლებსაც ამავე პუნქტში მითითებული კონტრაქტი შეუწყდათ 2024 წლის 1 მარტიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**